გაითვალისწინეთ, ალნიშნული ტესტი არის მხოლოდ ფინალური ტურის ნიმუში. ფინალურ ტურში დაგხვდებათ 12 საკითხი. გისურვებთ გამარჯვებას!

მე-8 კლასი

1. **(4 ქულა)** 7-ნიშნა რიცხვები 74D52N1 და 326DN4K არიან 3-ის ჯერადები. ჩამოთვლილთაგან რომელია K-ს მნიშვნელობა?
ა. 1 ბ. 2 გ. 3 დ. 5

2. **(7 ქულა)** შენ გაქვს მართკუთხედის ფორმის საპონი. 7 დღიანი (ყოველ დღე ერთნაირად) გამოყენების შემდეგ მისი სიმაღლეც, სიგანეც და სიგრძეც განახევრდა. კიდევ რამდენი დღე გეყოფა ეს საპონი თუ ისევ ისე გამოიყენებ, როგორც გასულ დღეებში?
ა. 1 დღე ბ. 3 დღე გ. 7 დღე დ. 10

3. **(6 ქულა)** სარბოლო მანქანა 1 წამის განმავლობაში მოძრაობდა 68 მ/წმ მუდმივი სიჩქარით, შემდეგი 1 წამი 69 მ/წმ მუდმივი სიჩქარით, მომდევნო 1 წამი კი 70 მ/წმ მუდმივი სიჩქარით და ა.შ. ვიცით, რომ მანქანა ყოველთვის ერთი და იგივე მიმართულებით გადაადგილდება. რამდენი წამის გასვლის შემდეგ იქნება სარბოლო მანქანის განვლილი მანძილი 2 კმ?
ა. 10 ბ. 25 გ. 50 დ. 100

4. **(6 ქულა)** რამდენი ცალი სამკუთხედია მარჯვნივ მოცემულ ნახაზზე?
ა. 8 ბ. 10 გ. 12 დ. 14



5. **(9 ქულა)** ნახაზზე მოცემული ფიგურებიდან რომლის ფართობია დანარჩენებისაგან განსხვავებული?



ა. A ბ. B გ. C დ. D

6. **(7 ქულა)** ნინამ 30 სხვადასხვა ბროშურის მომწოდებელი სტამბა იპოვა. თუ მარჯვნივ მოცემული დიაგრამის Y ღერძი გვიჩვენებს რამდენი თეთრი ჯდება 1 ცალი სარეკლამო ბროშურის დამზადება, ხოლო X ღერძი გვიჩვენებს ამ ბროშურის წონას. <u>რა წონის მქონე</u> ბროშურა არის ყველაზე იაფიანი?
ა. 2 ბ. 2.5 გ. 3 დ. 5